სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-608

ქ. თბილისი

01.04.2015

"ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2014–2015 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2014 წლის 7 ივლისის №03-664 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ნინო ჟვანიას 2015 წლის 18 მარტის N03-9712/15 სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 მარტის N4 სხდომის გადაწყვეტილების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს დამატება "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2014–2015 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2014 წლის 7 ივლისის №03-664 ბრძანების სათაურში, დაემატოს „ქართულის როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამების, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისათვის 2014–2015 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ"

2. შევიდეს დამატება "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2014–2015 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" რექტორის 2014 წლის 7 ივლისის №03-664 ბრძანების პირველ პუნქტში, დაემატოს „ქართულის როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამა" და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამების, ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სტუდენტებისათვის 2014–2015 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი ამ ბრძანების დანართი N1–ის მიხედვით.“.

3. შევიდეს დამატება “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის 2014–2015 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ რექტორის 2014 წლის 7 ივლისის №03-664 ბრძანების პირველ პუნქტით განსაზღვრულ დანართში და დაემატოს ამ ბრძანების დანართი N1-ში მითითებული ინფორმაცია.

4. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ და საგანმანათლებლო ერთეულს.

რექტორი **გიგა ზედანია**

დანართი 1

„ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის“
პროგრამის სტუდენტებისათვის

	დაწყება	დამთავრება
შემოდგომის სემესტრი		
სალექციო პერიოდი	06.10.2014-დან	20.02.2015 ჩათვლით
საშობაო არდადეგები	25.12.2014-დან	14.01.2015 ჩათვლით
საგამოცდო პერიოდი	23.02.2015-დან	07.03.2015 ჩათვლით
გაზაფხულის სემესტრი		
სალექციო პერიოდი	16.03.2015-დან	25.07.2015 ჩათვლით
საგამოცდო პერიოდი	27.07.2015-დან	15.08.2015 ჩათვლით

2014- 2015 წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური კალენდარი
"სატელევიზიო სასწავლო ცენტრის" პროფესიულ პროგრამებზე
2015 წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის

	დაწყება	დამთავრება
გაზაფხულის სემესტრი		
სალექციო პერიოდი	17.04.2015-დან	30.07.2015 ჩათვლით
საგამოცდო პერიოდი	31.07.2015-დან	15.08.2015 ჩათვლით